FS 648

11.624

# ქართული გამოცანაები

შეკრებილი

თ. რაფ. ერისთავის-მიერ.

თფილისი
სტეფანე მელიქიშვილის სტამბა.
1879

Дозволено цензурою Тифлисъ, 1878 г. 26 февраля.

FS 648

19, [3] გ. (18×12) [ფ. ლ]

ეროვნული ბიბლიოთეკა

K11.624
2

# წინასიტყვაობა

შევკრიბე ქართული გამოცანაები და გამოვცე იმ აზრით: ა) რომ არ დაკარგულიყვნენ იგინი სამუდამოთ ჩუენი ლიტერატურისათვის; ბ) რომ ამით მდაბალს ხალხს ჰქონდეს მსუბუქი წასაკითხი და დროს გასატარებელი შემქცევარი წიგნი და გ) რომ ყმაწვილები შაეჩვივნენ ჩაფიქრებას და თვითონაც შესძლონ გამოცნობა გამოხატულის აზრისა და მით ავარჯიშონ თჳსი გონება.—

მკითხველი ჰპოებს ამ გამოცანაებში ბევრს მარჯვეთ მოსწრებულს სიტყვას, აზრს და სურათსაც იმ საგნისას, რაზედაც არის აშენებული თჳთ გამოცანა; ჰპოვებს ბევრს ძველებურს სიტყვას და მახვილათ გამოხატულს შედარებას და ჰპოვებს მათში ბევრს მოსწრებულს ლექსებსაც.

დარწმუნებული ვარ რომ, იპოება კიდევ ძველს ხელნაწერ წიგნებში წარწერილი გამოცანაები, მე თჳთონ მინახავს და წამიკითხავს იგინი, მაგრამ ეხლა ხელთ ვეღარ ვიგდე ის ხელ ნაწერები, მახსოვს კი რომ უმეტესი ნაწილი მათგანი იყო გალექსილი და საღმრთო წერილის იგავები იყო გამოყვანილი გამოცანაებათ; უეჭველია აგრეთვე რომ ხალხში მოიპოება კიდევ ესე გვარნი და ბევრთა ზეპირათაც იციან. მაშ იმედია, რომ, შემდეგი შემკრებელი და გამომცემელი გამოცანაებისა, ეცდება შეავსოს აწინდელი

ნაკლულოვანება ჩემი. დიდათ უმადლი გოგებაშვილს, რომელმაც პირველსავე ჩემს თხოვნაზედ შემაწია რაოდენიმე მისგან შეკრებული გამოცანაები. მე გამოვრიცხე ჩემის შეკრებულის გამოცანაებიდგან ისეთნი, რომელნიც, ანუ იგავით, ანუ ალლეგორიით და ან გამოხატულებით წარმოგვიდგენდნენ უმართებულო და უშვერსა ლექსსა, ანუ მნიშვნელობასა, წინააღმდეგთა ზნეობისათა და ამით არ იყვნენ ღირსნი სტამბისაცა, მაგალითებრ, როგორათაც გამოცანაები: პაჭიჭებზედ, ზღმარტლზედ, წამწმებზედ და. სხვანი.

თვითოეული გამოცანის ამხსნელი სიტყვა არის დაბეჭდილი ამ წიგნის ბოლოში და უზის იგივე ნუმერი, რა ნუმერიცა თვით გამოცანას წინაუძღვის.

თ. რ. ერისთავი.

20 ნოემბერს 1877 წელსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული გამოცანები

1 პატარა ციკნიკელაო *), ბატონის საყვარელაო.

2) ხე, ხე ხერევანდი, ზედ ასხია ზარავანდი,
არც იჭმევა, არც ისმევა, არცა ზედა გაისვლება.

3) აჯინჯალი, ბაჯინჯალი, ოთხი ფეხით მობიჯარი,
არცა უნდა შენი თივა, არცა შენი ბზე და ქერი.

4) ერთსა პატარა ბუწკანტსა, ზეცას დაეგო მახეო,
მისი ნახოცი ნადირი ჩემის თვალითა ვნახეო.

5) ჩავაგდე ოსპისოდენი, ამოჯდა კოშკის ოდენი.

6) ადამიში, ბადამიში, გულყარდიში, თანდარიში,
ადამ შეჯდა, ბადამ უნან შემოუჯდა.

7) შავი არის შაშვივითა
გალაჯულა კაცივით.

8) ერთი ხელსახოცი მაქვს, ვკეცამ, ვკეცამ და ვერ
დამიკეცნია.

---

*) ზოგიერთნი იტყვიან „თიკნიკელაო"

9) არწივი წივის, მუხრანი კივის, ფუტურო სკდება, კლდე იქცევა.

10) შვიდი ფიცარი, შვიდათ შეკრული,
ვერც გახსნის მეფე, ვერც მისი ჯარი.

11) ერთი ხელსახოცი მაქვს, ვაშრობ, ვაშრობ და ვერ გამიშრია.

12) ხე მრუდო და ხე მართალო, ხეო, მაგრამ არა ხეო,
თუ გეწვიო მასპინძელო, ლხინი მასზედ მანახვეო,
მეფისა და დედოფლისა ყელზედ ხელის გადამხვეო.

13) ეს რა არის, მასრა არის, მასრას უკან კასრა *) არი,
კასრას უკან კალოა, კალო მოჭედილია, კვიცი გაკრეჭილია.

14) კიკლი, კიკლი კიბესაო, ხოროსნიანთ ციხესაო,
კურდღელი წამომჯდარიყო, აწკაპუნებს ყურებსაო.

15) ერთი ქრდო მაქვს, ზამთარ ზაფხულ ბალახითარის მემოსილი.

16) სირიმ, სირიმ, საიმკაჭკაჭო, სირიმ ფრთები გასხია,
მამულიდგან რომ გამოსვალ, იმ წამს სული გაგცვივა.

*) ზოგნი იტყვიან: „დაშნა არის“

17) სირის—სირის ქათამო სველი ფრთეში გასხია
ბუდიდგან რომ გამოხვალ, ფიცხლავ სული გაგცვივა.

18) ნადირი რამე მინახავს უფრთო, უნისკრო-ფრინველი,
სახლი აქვს, ცეცხლი ვერ დასწვავს, ძნელია მისაგნებელი,
ყოველი კაცი მას დასდევს: ერის კაცი და მწირველი.

19) ორი ფრინველი ჩემთანა დაბადებითა სხდებიან,
ამ წამს არიან ჩემთანა, ამ წამსვე გაფრინდებიან,
სხვისასა შინჯვენ ჯავარსა, თავისას ვერ მიხვდებიან,
ახლო არიან მეზობლათ, ერთმან-ერთს ვერ მისწვდებიან.

20) ერთი პატარა ბაჭია,
სირბილით არის მაგეა.

21) ერთი რამ უცხო ფრინველი ბოლო ღაწყობით დაჯდაო,
ადგა და ისევ წავიდა უსუფის წყალში ჩაჯდაო.

22) აქედგანა გავიქე, მინდვრის ბოლოს წავიქე,
იქა ვჭამე იელი, შინ მოველი მშიერი.

23) ტყეში სარი შამივარდა, გამო, გამო გიშერაო,
ნაბდის ქველა იქ დააგდო გამოვარდა შიშველაო.

24) ცა ვდრიკე, ვარსკლავი ვკრიფე.

25) მე მშვა მამან ჩემმა, მე ვშვი ასული ჩემი,
ასულმა ჩემმა შვა მამა ჩემი.

26) სათვლავი მოძრავი და მკვდარი მღაღადებელი.

27) აქლემზე მაღალი, ქუდზედ დაბალი,
ნაღველაზედ მწარე, თაფლზედ ტკბილი.

28) მე მაღლიდგანა მინახავს ფანფალა დაკიდებული,
მე ფანფალადგან მინახავს, მე რგვალი გამოღებული,
მე რგვალიდგანა მინახამს, მე რბილი გამოღებული,
მე რბილიდგანა მინახავს, მე წყარო გამოდენილი,
მე წყაროდგანა მინახავს, მე ბნელი განათებული.

29) მე მაღლიდამა მინახამს, მე მჭადა დაკიდებული,
მე ფინფილაზე მინახავს, მე რბილი გამოღებული,
მე რბილიდგანა მინახავს, მე წყარო გამოდენილი,
მე წყაროდგანა მინახავს, უკუმი განათებული.

30) წინ ფურგი, უკან მუცელი.

31) მიდის, მოდის, იქვე კი სდგას:

32) ბოძი, ბოძი, ბოძანდარი, ზედ გუდა და ზედადგარი,
ზედ იჭყიტი, ზედ იკრიჭი, ზედ იალბუზის მთა არი.
იმაშია ჭალა, შიგ ღორები წვანან.

33) ერთი რომელიმე ქურდი, კუდიანი და ჭრელია, ჭვერცხის პატარა შვილთათვის სინსილა გამწყვეტელია.

34) ჯერ დედა არ შობილიყო, შვილი ქალაქს მიდიოდა.

35) უსულო ვინმე ორსული, სულიერისა მშობელი, შვილსა ჰშობს, დედა მოკვდება, ვინ არის გამომცნობელი.

36) სიპმა ბურმგალა შობა, აბურმგალამ სიპი შობა.

37) ერთი პატარა საყდარია, რამდენიც უნდა უარო კარს ვერ უპოვნი.

38) ერთი პატარა საყდარია, ის რომ დაინგრეს მთელი ქვეყანა ველარ ააშენებს.

39) თოკი სვამს, ხბო იბერება.

40) ბაღჩაში ველი ვთესე, მწვანეთ იყო შემოსილი, თავი მოვსჭერ, შუბლს მივიკარ, ეკლით იყო შებასრული.

41) შავსა მიწას მიაყრიან, მწვანეთ ამოუა მირი, რტო მაღალი გაეზრდება, ფოთოლი აქვს მეტად ხშირი, მწვანე, მკვახე ხილი იცის, საჭმელია მეტად გრილი.

42) ჭაკი-ჭუკი და ჭიკატი წისქვილის გარზე ჩხუბობდნენ.

43) ერთი რამ უცხო ფრინველი მთას მიადგება გმირულათ,
თავს ჭყურავს წითელი ქუდი, ტანთ აცვია ბებრულათ,
მას თავის პირი ცულათ აქვს, ახალი გამოპირულათ,
ხმელს დაჭკრავს, ნედლი გამოაქვს მას თავის სარჩო გმირულათ.

44) დილაზე ადრე ავდგები, ტანთ ჩავიცვამ ბერულათა,
ჩემი ცული ხელთ მიჭირავს, დანა ახალ პირულათა,
ხმელსა ვსცემ, ნედლი გამოდის, სახლს ვაშენებ გმირულათა.

45) წყალში ზის,—თევზი არ არის,
ბალახს სძოვს,—ძროხა არ არის,
ღუღუნებს—მტრედი არ არის.

46) შავი არის შაშვივითა ხმა მიუგავს კაკაბსაო,
ვინც ამას ვერ გამოიცნობს, ის დაიწყებს ლაყაფსაო.

47) ვიწვი, ვსდნები, საიდუმლოს ვფარები.

48) ყველა მიწვება, მოწვება; ბაცქი ისევა კუნტია.

49) აქედგან გავკარ ისარი,
ბასტრიონს შავსძარ ფიცარი.

50) ამპარტავანი თათარი დაიარება, ყვირისა,
ნამეტნავათ მედიდურობს, არ ეშინიან ჭირისა,
ქრისტე ღმერთსა მოგაგონებს, გამფრთხობი არის ძილისა.

51) თეთრათ დავხელე, წითლათ მოვქსოვე, შავათ ამოვჭერ.

52) გამოცანას მოგახსენებ, გამოცან თუ რომელია,
ორჯერ მე გეტყვი სახელსა, ერთხელ შენ თქვი რომელია.

53) ერთი რამა სულიერი, მიწა-მიწა მძრომელია,
კაი ვაჟიკაცისათვის თავსა წამომდგომელია,
სამჯერ გითხარი სახელი, აბა მითხარ რომელია?

54) ორბი მოკვდა ორასი, ფრთა გაშალა სამასი,
ნისკარტი ჰკრა ოთხასი, კლდე გააპო ხუთასი

55) ერთს ქვეყანას ორთა ძმათა, ორთავ ერთი ფერი აქვთო,
ერთი მუდამ სიყრმეზედ დგას, ერთს სიბერე ახლო აქვსო,
ერთს ჯარი ჰყავს უთვალავი, ერთს კი მარტო ტახტი აქვსო,

56) მიდის, მიდის მირაკრაკებს, დადგება და გაიშლება.

57) მაღლიდგანა წამოვიდა კაბა-კუბა ჭრელოსანი,
სულ იმასა დაედევნენ ქვეითი და ცხენოსანი.

58) ერთი თახჩა მაქვს კენჭებით გამოტენილი.

59) შეიქნა ხმა და ძახილი, მრავალი წაიქცევისა,
უწყალოდ ჰყრის დაჭრილი სისხლი არ დაიღვრებისა.

60) გამხერხეს, გამტვინეს, ცეცხლი და წყალი მადინეს და აწ აქავე გარ.

61) შავი არის შაშვივითა, იგზინება ძაღლივითა,
პატრონს ღამით ათამაშებს ქამანჩა და სტვირივითა.

62) წასწვებით—წამოგაწვებათ.

63) პატარა თიკნიკელასა მთიდგან თივა ჩამოჰქონდა.

64) გარეთ ოქრო, შიგნით ვერცხლი, ვერცხლში
წყალი, წყალში ცეცხლი.

65) იკლიკისა, პირი მზისა,
შიგ რა ტარაღუნა ზისა.

66) გამოცანაა ნათქვამი თვით ბრძენთა გამომსახვისა,
მჭვრეტელთა შემამკობელი მშვენიერისა სახისა,
სახლი უდგს იგი ელვარე მშვენიერისა მას ხისა,
პირის-პირ ჭვრეტა იამით, რა ერთმანერთი ნახისა.

67) ერთი ხარი მყავს ბაგა-ბაგა სტრაწავს.

68) მაღლიდგანა წამოვიდნენ ხაპა-ხუპით ცხენოსანნი,
სულ აქეთ-იქით გაფანტეს ქვევითი და ცხენოსანნი.

69) ბაღჩაშია გადვისედე, ქალი იჯდა, ისი მინდა,
ტანთა ეცო მწვანე კაბა, თამაშობდა, ისი მინდა.

70) მარგალიტათ ამოსული, ლამაზია, ისი მინდა;
ზედ ასხია ტყაოსანი, სწორე გითხრა, ისი მინდა,
ვინაც ამას გამოიცნობს, ამხანაგათ ისი მინდა.

71) ასლამაზა მე მქვიანა, ასი ტყავი მაცვია,
აბრეშუმის ქოჩორი თავზედ გადამასხია.

72) შიგნიდგან ათასი, გარედგან ატლასი.

73) ტყის პირას ტუროვანი სხედან წარბებ გადახა-ტულები,
თავს თავადები ადგანან ქუდებ ჩამოფხატულები.

74) ვერც გამომჭრის კაი მჭრელი, ვერც შემკერავს ხარაზიო,
ბროლის ფერად გამოჩნდები, ხელთ შეგრჩები ლამაზიო.

75) ცოცხალია ბალახსა სძოვს,
მოკვდება და ღვინოსა ჰსვამს.

76) ტომარა და ტონტორიკი სახელს გეტყვი, ვერ იაზრო.

77) აქედგანა გავიქეცი მინდვრის ბოლოს წავიქეცი.

78) ოც-და-ოთხი ფეხი და რვა ქალამანი.

79) სახლი ავაგე ხისაო,
არ არის ნაფოტისაო,
შადიან და გამოდიან
ბრძანება არის ღვთისაო.

80) საზრდო ჩემი სასიამოვნოა,
ნაყოფი ზრუნვისა ჩემისა ტკბილია,
მაგრამ ჩემი მტრობა კი საშიშია.

81) ქვაბი მროხისა, ხორცი კაცისა, ქაფი ცხვარისა.

82) ტაფა ცვდება, დუმა არა.

83) დავაბამ დადიან, აუშვებ—დგანან.

84) ერთი რამა სურიელი უჩინარი და ხმიანი,
ზღვასა და ხმელეთს დაივლის, შინ მოიტანა გრიალი.

85) ერთი რამ არის უჩინო, უსულო და ხმიანი,
ცასა და ხმელეთს მოირბენს, ვერ მიჰყვება ცხენიანი,
მაინც ვერავინ დაიჭერს, თუნდა დაადგეს ხმლიანი.

86) ავხადე ფირფიტანასა, ჩავხედე გულყვითელასა.

87) ერთი რამ უცხო ფრინველი ხელს არ იღებსა
ინითა,
არცა სჭამს მარილიანსა, არც დათვრება ღვინითა,
თავს ქანი მისი სახელი, ბოლოს მოუღებს ინითა.

88) მიწის შვილია, ცეცხლში გავლილი,
თუ რომ დაწვება სულ დაიცლება,

89) ორნი არიან, ტოლნი არიან,
ერთათ მიდიან მიიმღერიან.

90) კაცზედ მაღალი, ღორზედ დაბალი.

91) მოვიდა თეთრი მოზვერი, გააგდო შავი მოზვერი.

92) წაიქცა ჯირკი, წაეხვია ჯინჭველა.

93) ერთსა რასმე სულიერსა უსურვანი არ უვარგა,
ცოცხალია ან რათ ვარგა, მოკვდება და შვენის კარგა,
დედ-მამისა სიავითა შვილსა გვარი დაეკარგა.

94) აბლი, ბაბლი, ვერცხლის ტასტი,
მზით ავიდე, მთვარით დავდგი.

95) ასი ხევი ავიარე, ასი ბუდე ავშალეო,
ქალსა მძივი ავუარეო, კალათაში ჩავუარეო.

96) ერთი რამ უცხო მფრინველი შემოჯდა ჩემსა მკლავს ისა.
სილამაზითა მე ვსჯობდი, სიკეკლუცითა მკლავს ისა.

97) ერთი რამა საკვირველი ორათ ჩნდა გამიკვირდაო,
თუ წაველ თანვე გამომყვა, თუ დავდექ დამაკვირდაო,

თუ რამე ხელში ავიღე, მან ბარგი აიკიდაო,
თქვენი ჭირიმეთ მიშველეთ, მე ეს რა გადმეკიდაო.

98) გავიქეცი—გამომიდგა, გამოვბრუნდი—გაუდექი.

99) ერთი რამცა, თეთრი რამცა,
თეთრათ გადაპენტილამცა,
ვინც ამას ვერ გამოიცნობს,
ცრუც არის და პენტელაცა.

100) წითელსა ეკკლესიასა შავი ყორანი შემოჯდა.

101) სჭრის და არ აკაკუნებს.

102) ერთი მოზვერი მყავს, სადაც დაწვება ბალახი აღარ ამოვა.

103) აქეთ გორა, იქით გორა,
შიგ შუაში მდევი გორავს.

104) უსულოსა, უგულოსა, სამი სარტყელი არტყია.

105) ოთლო, თოთლო, ოთხო ბომო,
ზეით მთაო, სათიბაო,
ქვეით წყარო სადინარო.

106) ერთი ბოსელი მაქვს, ვხვეტ, ვხვეტ, ვერ გამომიხვეტია.

FS 648

107) რკინაზე მძიმე, თაფლზე ტკბილი, არც აიწონება, არც გაიყიდება, არც იჩუქება.

108) ის ვინ არის, სულ არა რის, არც თავისთვის, არცსხვისათვის
რასაც იშოვნის ინახავს იმ ერთი შავი დღისათვის,
არც თავის თავზედ დაჰხარჯამს, არც სხვა ზედ, არცა ღვთისათვის,
გადაბრუნდება მოკვდება, დარჩება ეშმაკისათვის.

109) ორი ოროლასა,
ოთხი ტოროლასა,
თორმეტიაჩაბაჩასა,
არცერთი ჯუჯუბეგასა.

110) ოთხნი არიან, ძმანი არიან,
ბაღჩას ჩადიან, ხაიმღერიან.

111) შიგნით გული—გული არის, გარეშემო ატლასია
გარს რომ ხალხი ეხვევოდეს მეომარი ათასია.

112) ორმი მფრინველნი ჩემთანა დაბადებიდგან სხდებიან,
რამწამა ოვლენ ჩემთანა, იმწამსვე გაფრინდებიან.

113) ერთსა საროსა ტანზედა თორმეტი შტონი ასხია,
არც მოიმატებს, არც იკლებს, სავალი წელი ასეა.

114) ერთსა ალვისა ხეზედა თორმეტი ტოტი აბია.
სცვივა და სცვივა ფურცელი, ისევ იმდენი ასხია.

115) თორმეტმა არწივმა, ორმოც-და-თორმეტმა კაჭკაჭმა და სამას სამოც-და-ხუთმა ჩიტმა ერთი კვერცხი დადეს.

116) დავაწყვიტე ვეღარ ადგა.

117) თეთრი ხნული, შავი თესლი, თესლი მთესავს ეუბნება.

118) ხუთნი არიან, ოთხი მუშაობს, ერთი გარს უვლის.

119) ოხრო ხრინავს, დევი ფშვინავს, მასკუნტელა სანთელს ანთებს.

120) აბანოელი ბატები, აბანოს ებანებიან. ამათი სიტყვა-პასუხი ხელმწიფეს ეკადრებიან.

121) წივის, წივის ქალაქი, მერე მოქალაქენი, დაუყენე ზარათი, დავაჩუმე ქალაქი.

122) უძვლო, უთვხო, წყლის ნადირი
კაცისათვის დიდი მარგი,
ვინც ამას ვერ გამოიცნობს,
ადგეს, აიკიდოს ბარგი.

123) დავკარ ხმალი, არ დააჩნდა კვალი.

124) თავს დაჰკდება მეითარი; მოუჰკდება მას თარხანი.
რაზმსა კარგათ დააწყობენ, გამოუათ მათ რა სანი;
აშლილობა შექნებათ, მას გასცვივა თავს რახვანი.

125) მე ვიმზადებ საფლავსა ჩემსა, ვახვევ და იმითი
ვსწყვეტ ჩემი სიცოცხლის ძაფსა.

126) გამოცანას მოგახსენებ, დიდი არაფერიაო:
ზოგჯან წითელ, ზოგჯან ყვითელ,
ზოგჯან ჩალის ფერიაო.

127) ერთი რამა, სუფრის მაზა; ხსნილისა და მარხვისა,
ყოვლის საჭმლის შემმკობელი, მოუხდება ისვრიმსა,
ამისი გამომცნობელი სიტყვას დიდათ ისვრისა.

128) ცე ბრუნდი და ცე მართალი, აბის ცუთი მარცვალი.

129) ორმო ბნელი, შიგ მოზვერი მნელდათ მო-
საბრუნებელი.

130) ძაღლი წევს და კუდი ღრინავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამოცანაების ახსნა

1 აბზი
2 ანწლი
3 ბაყაყი
4 ბებერა და ბუზი
5 ბოლოკი
6 ბროწეული
7 ხარი
8 გ·
9 გუთანი
10 დიდ-მარხვა
11 ენა
12 ვაზი, ყურძენი და ღვინო
13 ვარსკლავები
14 ზარი
15 თავი და თმა
16 თევზი
17 თევზი
18 თევზი
19 თვალები
20 თითისტარი
21 თოვლი
22 თოფი
23 თხილი
24 იხილი
25 იესო
26 იონა
27 კაკალი, ნიგოზი
28 კაკალი, ნიგოზი
29 კაკალი და ზეთი
30 კანჭი
31 კარები
32 კაცი, მისი თავი, თმა და თმის მცხოვრებნი
33 კაჭკაჭი
34 კვამლი და ალი
35 კვერცხი და ქათამი
36 კვერცხი და ქათამი
37 კვერცხი
38 კვერხი
39 კიტრი
40 კიტრი
41 კიტრი.
42 კლიტე-გასაღები.
43 კოსალა.
44 კოსალა.
45 კუ.
46 კულა.
47 ლაქა.
48 ლიტრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

49 მამალი.
მამალი.
51 მაყვალი.
52 მელა.
53 მელა.
54 მზე
55 მზე და მთვარე.
56 მთვარე.
57 მწყერი.
58 პირი და კბილები.
59 პურის მკა.
60 პური.
61 რწყილი.
62 საზანი.
63 სამართებლები.
64 სამოვარი.
56 სარკე.
66 სარკე.
67 საცერი.
68 სეტყვა.
69სიმინდ ი
70 სიმინდი.
71 სიმინდი.
72 სიმინდი.
73 სოკოები.
74 სტაქანი.
75 ტიკი.
76 ტომარა.
77 ტყვია.
78 ურმის თვლები.
79 ფუტკარი.
80 ფუტკარი.
81 ქალამნები. ფეხები და
წინდები.
82 ქალამნები.
83 ქალამნები.
84 ქარი.
85 ქარი.
86 ქილა და ერბო.
87 ქორი.
88 ქოთანი
89 ქოშები.
90 ქ[illegible].
91 ღამე და დღე.
92 ღორი და გოჭები
93 ღორი.
94 ყინული.
95 შინდი.
96 ჩონგური.
97 ჩრდილი.
98 ჩრდილი.
99 ცა.
100 ცეცხლი და ქვაბი.
101 ცეცხლი.
102 ცეცხლი.
103 ცომი და ვარცლი.
104 ცოცხი.
105 ცხვარი.

106 ცხვირი.
107 ძილი.
108 ძუნწი.
109 ძუძუები: კაცისა, ძროხისა და ღორისა. ქათამს კი არაფერი.
110 ძუძუები ძროხისა.
111 წაბლი.
112 წამწამები.
113 წელიწადი.
114 წელიწადი.
115 წელიწადი.
116 წვინტლი.
117 წიგნი.
118 წინდის ჩხირები.
119 წისქვილი.
120 წისქვილი
121 წიწილები და კრუხი
122 წურბელა
123 წყალი
124 ჭანდრაკი
125 ჭია ყაჭისა (აბრეშუმისა)
126 ხალიჩა
127 ხახვი
128 ხელი
129 ხრმალი
130 ჯვარა